კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 282 (11588)

ხუთშაბათი, 3 დეკემბერი, 1959 წ.

ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა განც-მავაგის ქარხანაში

ბუდაპეშტი, 2 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთში მყოფი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით დღეს ეწვია უნგრეთის დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოს — განც-მავაგის ქარხანას. ქარხნის სამონტაჟო საამქროში, რომელიც 10 ათასზე მეტ კაცს იტევს და გაჭედილი იყო ხალხით, გაიმართა ქარხნის მშრომელთა მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ აგრეთვე ბუდაპეშტის სხვა დიდ საწარმოთა დელეგატები. შეკრებილთა წინაშე მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შანდორ გაშპარმა.

შემდეგ სიტყვა მიეცა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომელიც მიკროფონთან მივიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური, [illegible] ში გაიმართა მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და მრავალგზის გააწყვეტინეს ტაშით.

განც-მავაგის ქარხნის მშრომელებთან და დედაქალაქის სხვა საწარმოთა წარმომადგენლებთან ამხანაგ ხრუშჩოვის შეხვედრა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის აღმაფრთოვანებელ დემონსტრაციად გადაიქცა.

აღმავლობა, პერსპექტივები

ორმოცი წლის წინათ შეკითხვაზე, რატომ არის საბჭოთა ხელისუფლება ასე მტკიცეო, გენიალურმა ლენინმა უპასუხა: — „იმიტომ, რომ ის არის მშრომელთა ხელისუფლება, მილიონობით მუშებისა და გლეხების ხელისუფლება“.

ამ ხელისუფლების აყვავებისა და განმტკიცებისათვის ზრუნავს და შრომობს საბჭოთა ადამიანი. „ჩვენი ყველა მიღწევებიდან, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე, — ყველაზე მთავარი, ყველაზე შესანიშნავი და ყველაზე სასიხარულოა საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, შემოქმედებითი ენთუზიაზმი. კომუნისტური შეგნებულობა ამაში ეხმიანება ყველა ჩვენი გამარჯვების საფუძველს, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების ღრმა რწმენას“.

ჩვენი გეგმების ყოველი ნაწილი, ჩვენი ბიუჯეტის ყოველი პუნქტი წარმოადგენს ხალხთა კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვის ნათელ მაგალითს. იგი ჭეშმარიტად საბჭოთა ადამიანის მშვიდობიანი შრომის პროგრამაა. ეს გეგმა და ბიუჯეტი გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული დადგენილებებიდან და ემსახურებიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის დიად ამოცანებს.

ყველა ამ აქტუალურმა ამოცანებმა თანმიმდევრულად ჰპოვეს გამოხატულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელიც ამას წინათ იყო მოწვეული.

სესიამ განსაზღვრა საქართველოს სს რესპუბლიკის 1960 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი. სესიამ დააწესა ასიგნებები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — სკოლებში საყოველთაო სწავლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის, პენსიებისა და დახმარებებისათვის.

რამდენ რამეზე მეტყველებენ გეგმისა და ბიუჯეტის ციფრები. ისინი საბჭოთა ადამიანის ხელში არიან ახალი ქარხნები და ფაბრიკები, მაღაროები და შახტები, გზები და ხიდები, სკოლები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამრეწველო საქონელი და საყოფაცხოვრებო ნივთები, ბინები... ყველაფერი, რაც ცხოვრებას ალამაზებს და ატკბობს.

ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი მისი ბედნიერებისათვის — ასეთია მთავარი მიზანი, ასეთია აზრი და ფიქრი ჩვენი დეპუტატებისა, რომლებიც ასე დაუღალავად, შრომობენ სამშობლო ქვეყნის ძლიერებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების მძლავრი აღმავლობისათვის, პროდუქციის სიუხვისათვის.

საბჭოთა დეპუტატი ხალხის მსახურია. ამიტომ დიდია მისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე. „ხალხის რჩეულთ,—წერდა ამას წინათ გაზეთ „იზვესტიაში“ ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი, — ეხება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა საკითხი — ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებების, სახელმწიფო და სამმართველო აპარატის მუშაობა, საბინაო მშენებლობა, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა, განათლება და ჯანმრთელობ ი ს დაცვა, კანონიერებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა დაცვის განმტკიცება...“

სწორედ ამ დიად ამოცანებს ემსახურება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმა, რესპუბლიკის ბიუჯეტი. მისი რომელი ნაწილიც არ უნდა აიღოთ — მრეწველობისა თუ მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა თუ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება, ყველგან იგრძნობა საბჭოთა ადამიანისათვის დიდი ზრუნვა, ჩვენი ქვეყნის შემდგომი აღმავლობის ნათელი პერსპექტივები. იგი შემუშავებულია რესპუბლიკის ყველა დარგის მაქსიმალური განვითარების გათვალისწინებით და შეესაბამება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიან გეგმას.

ბუნებრივია 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იქნება დიადი შვიდწლედის მეორე წლის გრანდიოზული მშენებლობის მტკიცე საფუძველი.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, სამეცნიერო და კულტურის დაწესებულებების მუშაკთა შრომა, როგორც ყოველთვის, ახლაც წარმართავება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისაკენ.

ეს იქნება ჩვენი რესპუბლიკის შრომელთა დიდი წვლილი შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, კომუნისტური მშენებლობის წარმატებით განხორციელებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

უპასუხაკებენ სამშობლოს

◆ ჭიათურა. მაღაროელები ღირსეულად ასრულებენ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრეს საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. მათ 28 ნოემბერს შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა. კალინინის სახელობის, დიმიტროვის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა უკვე ამოიღეს ათასობით ტონა მარგანეცი დეკემბრის ანგარიშში.

◆ ტყიბული. მეშახტეები იბრძვიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა ვადაზე სამი დღით ადრე შეასრულა თერთმეტი თვის დავალება.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დანერგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ელექტროენერგიისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის გზით მეშახტეებმა დაზოგეს და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს თითქმის სამი მილიონი მანეთი — ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი. (საქდესი).

ნიკოლოზ მანუკოვსკის მაგალითით!

განვახორციელოთ კომპლექსური მექანიზაცია სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, მინიმუმამდე დავიყვანოთ ხელით შრომა

როგორც კი შეიტყო საბჭოთა ხალხმა, რომ მოწვეულ იქნება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი, დეკემბრის პლენუმი, რომელიც განიხილავს სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ყველგან გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის პირველი წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

პარტიულ კონფერენციებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საერთო კრებებზე აჯამებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს, სახავენ ღონისძიებებს 1960 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

პლენუმისათვის მზადების დღეებში მკვეთრად გაიზარდა ხალხის მასების შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა. მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები აყენებენ ათასობით წინადადებას, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების შესახებ, შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზებსა და საშუალებებზე როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

ამას წინათ სახელგანთქმულმა ტრაქტორისტმა ნიკოლოზ მანუკოვსკიმ ჩვენი ქვეყნის მექანიზატორებს მოუწოდა ითავონ კოლმეურნეობაში ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება, ხელით შრომის მინიმუმამდე დაყვანა.

ამ პატრიოტულ თაოსნობას ჩვენი დიადი ქვეყნის მექანიზატორებთან ერთად ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს მექანიზატორებმაც. „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ სატრაქტორო ბრიგადების ხელმძღვანელთა წერილებს, რომელნიც ერთსულოვნად იწონებენ მანუკოვსკის პატრიოტულ თაოსნობას და თვითონაც კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს.

ამ გამოცდასაც ჩავაბარებთ

სახელგანთქმული ვორონეჟელი ტრაქტორისტის ნ. მანუკოვსკის ძვირფასი თაოსნობის ამბავი შევიტყეთ გაზეთში მოთავსებული ჩვენი თანამოსაქმეების წერილებიდან. წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოლოსკალოს კოროვის სახელობის კოლმეურნეობის პირველი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი თინაშვილი მხარს უჭერს ვორონეჟელ მექანიზატორ ნ. მანუკოვსკის. ამ პატრიოტულ თაოსნობას გამოეხმაურა ჩემი ბრიგადაც. ერთსულოვნად გადავწყვიტეთ შვიდწლედის მეორე წელს კოლმეურნეობაში ყველა შრომატევადი სამუშაო შეგვასრულოთ კომპლექსური მექანიზაციით.

1960 წელს 150 ჰექტარ სიმინდს და 10 ჰექტარ შაქრის ჭარხალს თოხს არ გავაკარებთ, მთლიანად კომპლექსური მექანიზაციით დავამუშავებთ, საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 65 ცენტნერ სიმინდს და ამით წლევანდელ მოსავლიანობას 15 ცენტნერით გადავაჭარბებთ, მეძროხეობის ორივე სადგომში განვახორციელებთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, გავიყვანთ საბაგირო გზას, დავდგამთ ჭარხლის სარეცხ, საჭრელ და ნამჯის საკუწ აგრეგატებს.

ყველა სამუშაოებს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ეს გამოცდაც ჩავაბაროთ და სასახელოდ შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულება.

გიორგი სიხარულიძე,

ქარელის რაიონის დ. ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.

ვუპასუხებთ თანამოსაქმეს

საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა პარტიის მორიგი, დეკემბრის პლენუმის ღირსეული შეხვედრისათვის ემზადება. კოლმეურნეები, სპეციალისტები აყენებენ საყოველთაო წინადადებებს, გამოთქვამენ თავიანთ აზრს კოლმეურნეობის ეკონომიკის განვითარების კონკრეტულ გამოუყენებელ შესაძლებლობებზე.

სართიჭალელი მექანიზატორები წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ შრომატევადი სამუშაოები მანქანებით შეასრულონ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ სართიჭალელები პირველნი გამოეხმაურნენ ა. გიტალოვის ინიციატივას. მომდინარე წელს სათოხნი კულტურები მთლიანად დათესეს კვადრატულ-ბუდობრივად და უზრუნველყვეს მისი დამუშავება მექანიზმებით.

ნოვატორი ტრაქტორისტი ნიკოლოზ მანუკოვსკი, რომელიც სიმინდის მოყვანის ყველა სამუშაოს მანქანებით ასრულებს, არ დაკმაყოფილდა ამით და ჩვენი დიადი ქვეყნის მექანიზატორებს მოუწოდა: განვახორციელოთ კომპლექსური მექანიზაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების იმ დარგებში, სადაც ხელით შრომა სჭარბობს.

მანუკოვსკის ეს პატრიოტული მოწოდება განიხილეს სართიჭალის კოლმეურნეობის მექანიზატორთა თათბირზე. ყველამ ერთსულოვნად მოიწონა ეს თაოსნობა.

თათბირზე აგრეთვე აღინიშნა, რომ უკეთესი იქნება ტრაქტორისტებს მივამგზავროთ ნაკვეთები და მათვე უზრუნველყონ ყველა სამუშაოს წარმოება.

სართიჭალელი მექანიზატორები წარმატებით მუშაობენ მანქანა-იარაღების რემონტზე, რათა სრულად განახორციელონ კომპლექსური მექანიზაცია.

• • •

სურათზე: მექანიკოსი ა. ჩეკურიშვილი (მარცხნივ) და ტრაქტორისტი შ. გენგაშვილი კოლმეურნეობის სარემონტო სახელოსნოში აწარმოებენ ტრაქტორის შეკეთებას.

ენერგეტიკული სიმძლავრენი შვიდწლედის სამსახურში

დაიზოგება ათასობით კილოვატსაათი

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის საქართველოს სამრეწველო საწარმოებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარებულ იქნა თბილისის ელექტრომავალსაშენებლო ქარხნის კოლექტივი.

თბილისის ელექტრომავალსაშენებლო ქარხანა ელექტროენერგიის ერთერთი მძლავრი მომხმარებელია. ყოველი ელექტრომავალის გამოშვებაზე ნორმის მიხედვით უნდა დაიხარჯოს ასობით ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

1959 წლის დასაწყისიდან განვლილ სამ კვარტალში ამ ქარხნის კოლექტივმა დაზოგა იმდენი კილოვატსაათი ენერგია, რამდენიც საკმარისია 5 რვაფერფლიანი სამაგისტრალო ელექტრომავლის გამოსაშვებად.

ამაყობენ ამ მიღწევებით თბილისელი ელექტრომავალშენებლები და ამიტომაც მათთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის ბრძოლა რჩეული, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აძლევს ყველა საწარმოს კოლექტივს ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის ბრძოლაში წარმატების მისაღწევი გზების შესახებ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილმა განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია ქარხნის ენერგეტიკოსებს შორის.

— უაღრესად დროულს, ბრძნულ მითითებებს გვაძლევს პარტია,—თქვა ქარხნის მთავარმა ენერგეტიკოსმა ინჟინერმა მ. სარიკაანმა. — ელექტროენერგიის ეკონომია ნიშნავს სახალხო დოვლათის ეკონომიას, სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლის საფუძვლის განმტკიცებას. სავსებით მართებულია პარტიის მოწოდება, რომ ელექტროენერგიის რაციონალური, მომჭირნეობით ხარჯვა გადავაქციოთ საყოველთაო-სახალხო საქმედ.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს წერილი, — აღნიშნავს ქარხნის საორთქლე-ძალოვანი საამქროს ოსტატი გ. ჭიპაშვილი, — წარმოადგენს ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსის, მოსამსახურისა და საერთოდ ყოველი საბჭოთა ადამიანის, უწინარეს ყოვლისა კი ჩვენი ენერგეტიკული მეურნეობის მუშაკების ახალ საბრძოლო პროგრამას.

— კარგი მიღწევები გვაქვს. რესპუბლიკაში ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის ბრძოლის მედროშეც ჯერჯერობით ჩვენი კოლექტივია, — ამბობს ელექტროზეინკალი ვ. ფიცხელაური, — მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს იმისათვის, რომ სამშობლოს ელექტროენერგიის მომჭირნეობით მეტი ეკონომია მივცეთ.



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 2 სადნობი საამქროს ოთხი ბრიგადა ენერგიულად იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისათვის. მოკლე ხნის წინათ ეს საპატიო წოდება მიენიჭა მდნობელთა ბრიგადას, რომელსაც ი. კოვზირიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ ოქტომბრის საწარმოო დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა, ქვეყანას მისცა გეგმის ზევით 80 ტონა ნადნობი, დაზოგა 611 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

სურათზე: ბრიგადირი ი. კოვზირიძე (მარჯვნივ) და მდნობელი ო. კუთალაძე სინჯს იღებენ. ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ენერგომშენებლებო, სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისათვის!

ენერგეტიკული მშენებლობის საკითხთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებმა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 26-28 ნოემბერს, მიიღეს მიმართვა ჩვენი ქვეყნის ყველა ენერგომშენებელისადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ ენერგომშენებელთა მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ მომდინარე შვიდწლედში ახალი ძლავრი აღმავლობა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის განვითარებაში და სიმძლავრეთა ამუშავების შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულება.

ენერგომშენებლები ისახავენ ამოცანას: ელექტროსადგურებისა და ელექტროგადაცემის ხაზების აგების დროს გადავიდნენ ტიპობრივ უნიფიცირებულ პროექტებზე ასაწყობ რკინაბეტონში, დაარჩარონ საწარმოო ბაზების მშენებლობა, მშენებლობა გადაიყვანონ სრულ კომპლექსურ მექანიზაციაზე და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვაზე, ორგანიზაციულ-მეურნეობრივად განამტკიცონ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები და მოახდინონ მათი შემდგომი სპეციალიზაცია. ისინი კისრულობენ ვალდებულებას ათვისონ დიდი თბოელექტროსადგურების მშენებლობისა და მონტაჟის ახალი პროგრესული მეთოდები და სრული სიმძლავრით ამუშაონ ისინი სამი-ოთხი წლის განმავლობაში, უფრო მალე ააგონ და ამუშაონ ჰიდროელექტროსადგურები და ელექტროგადაცემის ხაზები.

თათბირის მონაწილენი მიმართავენ ყველა ენერგომშენებელს, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების, ენერგომანქანათაშენებელი ქარხნების მუშაკებს მოწოდებით გააჩაღონ ბრძოლა იმისათვის, რომ 1964 წელს საბჭოთა კავშირში ელექტროსადგურებში ამუშავდნენ 10-12 მილიონ კილოვატამდე ახალი სიმძლავრენი წელიწადში და აშენდეს 40 ათასამდე კილომეტრი ელექტროგადაცემის ხაზი, ესე იგი მიღწეულ იქნას შვიდწლედის უკანასკნელი წლისათვის დასახული დონე. მათ მოუწოდეს აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების მუშაკებს დახმარება გაუწიონ ენერგომშენებლებს ენერგეტიკულ სიმძლავრეთა უსწრაფესად ამუშავებასა და შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებაში. (საქდესი).

კარგია, ვიწონებთ!

გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გავეცანი ნიკოლოზ მანუკოვსკის ინიციატივას, რომ კოლმეურნეობაში ყველა შრომატევადი სამუშაო ვაწარმოოთ მექანიზმებით, მინიმუმამდე დავიყვანოთ ხელით შრომა.

მანუკოვსკის ეს ინიციატივა ყველა სხვა წამოწყებასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ამით ორ საქმეს გავაკეთებთ: მეურნეობის ყველა დარგში კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვის საშუალებით დავაჩქარებთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოებას, მნიშვნელოვნად შევამცირებთ პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებას და რაც მთავარია, კოლმეურნეებს ადარ მოუხდებათ მძიმე ფიზიკური შრომა. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორებიც.

გამოცდილება ამ საქმეში არც მე მაკლია. 15 წელზე მეტია წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადას ვხელმძღვანელობ. გადავწყვიტე ამ ძვირფასი საქმის განხორციელებაში ჩემმა ბრიგადამაც მიიტანოს თავისი წვლილი. მოვიწვიე მექანიზატორები, ვითათბირეთ, გავითვალისწინეთ ყველა შესაძლებლობანი და ერთხმად გადავწყვიტეთ რომ ჩვენს კოლმეურნეობაში მძიმე ფიზიკური შრომა მინიმუმამდე დავიყვანოთ. ამ ამოცანის განხორციელების მიზნით ვიკისრეთ შემდეგი ვალდებულებანი:

მეძროხეობის ფერმის მეორე ბრიგადაში მოვაწყობთ ავტოსარწყულებლებს, ძროხების სადგომის დასუფთავებასა და ნაკელის მინდვრად გატანას ვაწარმოებთ მანქანებით, გაზაფხულზე 300 ჰექტარ ფართობზე აეროტექნიკურ ვადებში დავთესავთ სიმინდს, მზესუმზირას და საკვებ ჭარხალს. ნათესებს მთლიანად დავამუშავებთ კომპლექსური მექანიზაციით ხუთ სამუშაო დღეში, ამით გავათავისუფლებთ მრავალ მუშახელს, რომლებიც გამოყენებული იქნება სხვა უფრო იოლ სამუშაოზე.

ა. ჭრელაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ალახვერდოვას გიულხანიმ ალაზ ყზის — ორიალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშას, წალკის რაიონი.
2. გიგოლაევას თამარ ალექსანდრეს ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელი დმანისი.
3. ჯუკაშვილს ნატალია ზურაბის ასულს — ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, გორის რაიონი.
4. სურმანიძეს გულისტან მუსას ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი ფეშრეკაული.
5. სურმანიძეს ბარგო სულეიმანის ასულს — ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი.
6. ხუბაშვილს ელიჩკა ყეჩაღის ასულს — დიასახლისს, კასპის რაიონის სოფელი ვაკე.
7. შაინიძეს სალიე სულეიმანის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი სკვანა.
8. შევცოვას ჭესენია კონდრატის ასულს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
შ. არუშანიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1959 წ. 2 დეკემბერი.

7 დეკემბერს, დილის 11 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 8) შედგება **საქართველოს ჟურნალისტთა და მუშაოფლკორთა რესპუბლიკური აქტივის კრება**, მიძღვნილი სსრ კავშირის ჟურნალისტთა პირველი ყრილობის შედეგებისა და საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ამოცანებისადმი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

კარტიულ კონფერენციებზე გაგანოვას ქართველი ძმები

კონფერენციის დაწყებამდე კიდევ დრო არის. კენტერის სახლის ფოიეში დელეგატები ბაასობენ. სახელოსანლოდ მოწყობილ წრეების კირკის იქით ერთი ჯგუფი შეკრებილა.

— იქ რაღაც საინტერესოზე მსჯელობენ, — ამბობს ერთი და მათკენ მიდის. მაა სხვებიც მიჰყვებიან. ბალე დიდი ჯგუფი შეკრიბა. ამან ჩვენც დაგვინტერესა.

რაზე იყო მსჯელობა?

გაგანოვას ქართველი ძმები, როგორც მათ კასპელები ეძახიან, შეკრებილებს უყვებოდნენ, თუ როგორ მუშაობენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა დასაწინაურებლად.

ყველას ყურადღებას იქცევს შავგვრემანი, პირმრგვალი კაცი — შიო თავგაიშვილი, რომელიც წინათ სოფელ გუდაურთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. ეს სასოფლო-სამეურნეო არტელი მოწინავეა რაიონში. გაგანოვას პატრიოტული თაოსნობის ამბავი რომ შეიტყო, სურვილი გამოთქვა და სამუშაოდ გადავიდა სოფელ კავთისხევის კირიოვის სახელობის ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში.

მის გვერდით ჯმუხი ვაჟკაცი გიორგი გოგიაშვილი დგას. იგი სკოლის დირექტორად მუშაობდა მშობლიურ სოფელ ზემო ხანდაკში. ახლა კი მეზობელ სოფელ ყარაღაჯშია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

გიგიაშვილის პირდაპირ ქერა, პირხმელი კაცი რომ დგას, ქვემო ჭალის კოლმეურნეობის ყოფილი აგრონომი ალეშე ბუდაღაშვილია. ახლახან იგი სოფელ სამთავისის ჩამორჩენილ კოლმეურნეობას ჩაუდგა სათავეში.

პარტიული კონფერენციის დაწყებამდე გრძელდებოდა მათი ბაასი. დანიშნულ დროზე კონფერენცია დაიწყო. გეგონებოდათ, ის სჯა-ბაასი, ვესტიბიულში მეკრული დელეგატთა ჯგუფს რომ ჰქონდა, კონფერენციაზე განახლდაო, როცა ტრიბუნიდან გაისმა სიტყვები მოწინავე და ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მუშაობაზე.

სოფელ კავთისხევის კირიოვის სახელობის კოლმეურნეობა წლობით ჩამორჩენებოდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ქოქილაშვილი უინიციატივო, სუსტი ორგანიზატორი იყო. კოლმეურნეობაში თავისი სურვილით სამეურნეო გადაგიდა სოფელ გუდალეთის მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე შიო თავგაიშვილი. ახალმა თავმჯდომარემ მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებითა და მომთხოვნელობის ამაღლებით. ამას ხან მიაღწია პარტორგანიზაციის მხარდაჭერით, აქტივებე დაყრდნობით. ახლა კოლმეურნეობაში არ არის ისეთი დარგი, რომ წინსვლას არ განიცდიდეს.

სოფლები ნოსტე და ახალქალაქი მეზობლები არიან. ამ სოფლების კოლმეურნეობებს მუშაობს ერთნაირი, პირობები აქვთ, შედეგი კი — დიდად განსხვავებული. ნოსტელებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 10,2 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. შარშანდელთან შედარებით ოთხჯერ გაზარდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ახალქალაქელებმა კი შემოდგომის ხორბალი ჰექტარზე 6 ცენტნერი მოიყვანეს, სიმინდი — 16 ცენტნერი. მეტად დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობაც.

მიზეზი? ნოსტეს კოლმეურნეობაში კარგად უელიან ნათესებს, ზრუნავენ მეცხოველეობაზე. ახალქალაქის კოლმეურნეობაში კი არ იცვენენ თესლისა და ნათესების მოვლას აგროტექნიკას. მოუვლელია პირუტყვი.

მარცვლეულის წარმოების გადიდებაში დიდი ადგილი უჭირავს სიმინდს. წელს რაიონში შარშანდელთან შედარებით სიმინდის ნათესი ფართობები გადიდდა 2.500 ჰექტარით. კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე 26 ცენტნერი სიმინდი მიიღეს ნაცვლად ათლდენისა. ბევრმა კოლმეურნეობამ სიმინდის მაღალი მოსავალი მოიყვანა, სოფელ დოფსის კოლმეურნეობაში სიმინდის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები. სიმინდი აგროტექნიკურ ვადებში დაითესა, ნათესი კარგად დამუშავდა, და შედეგიც კარგია. აქ საშუალოდ ჰექტარზე 40 ცენტნერი სიმინდი მიიღეს მარცვლად.

მაგრამ რაიონში არიან კოლმეურნეობები, რომლებმაც ვერ შეასრულეს სიმინდის მოსავლიანობის გეგმები. ეს იმითაც აიხსნება, რომ დაბალია სიმინდის დამუშავების მექანიზაციის დონე.

ამ და მთელ რიგ სხვა საკითხებზე კარგად იყო გამახვილებული ყურადღება პარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. დ. მაღალაშვილის მოფიქრებულად შედგენილ საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გეზს აძლევდა დელეგატებს მოურიდებლად ემხილებინათ ნაკლოვანებანი, წამოეყენებინათ წინადადებანი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ცალკეული დარგების წინწაწინწევისათვის, შეიდწლედის ახალი ზღუდეების აღებისათვის.

საყურადღებო იყო სოფელ ნოსტეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ანდრო ძენეშაშვილის სიტყვა. მან თქვა:

— ჩვენ, ამბავლები, მეზობლებს ჩამორჩებით სათოხნი კულტურების დამუშავების კომპლექსურ მექანიზაციაში. და განა იმიტომ, რომ მექანიზმები ნაკლები გვაქვს? არა! ვერ ვიყენებთ მათ კარგად. სუსტად ვიცნობთ გამოჩენილი მექანიზატორის ა. გიტალოვის მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს.

მარცვლეულის წარმოებაზე ლაპარაკს მოიყვა, თუ როგორ სრულდება კოლმეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის გეგმები. აღინიშნა, რომ რაიონში ხორცის წარმოება შარშანდელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა.

სოფელ ყარაღაჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი გოგიაშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა კეთდება ჩამორჩენილი დარგების წინ წამოსაწევად. მან აღნიშნა, რომ კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა. აგროტექნიკურ ვადებში დამთავრდა საშემოდგომო თესვა. ყველაფერი მომზადდა პირუტყვის სანიმეშოდ გამოზამთრებისათვის.

მოხსენებაში და დელეგატთა გამოსვლებში საკმაოდ მსჯელობა იყო მეცხოველეობა-მევენახეობის განვითარებასა და მოსავლიანობის გადიდებაზე. ითქვა, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ენახები და ბაღები მეჩხერია. ამას ემატება ისიც, რომ ზოგან ცუდად უელიან ნარგაევებს: წელს ამიხლის ცუდ პირობებთან ერთად ესეც იყო იმის მიზეზი, რომ რაიონმა ვერ შეასრულა ყურძნისა და ხილის მოსავლიანობის ნაკისრი ვალდებულებები.

— ჩვენ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღლეების დიდი რეზერვები და შესაძლებლობა გვაქვს, — აღნიშნა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ბასიაშვილმა, — მაგრამ ეს პირობები მთლიანად არ არის გამოყენებული. კავთისხევის, წინარეხის, ლამისყანის სასოფლო საბჭოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. კოლმეურნეობებს ესაჭიროებათ სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის მეტი კონკრეტული ხელმძღვანელობა. მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას ჯერ კიდევ სუსტად ნერგავს რაისაბჭოს აღმასკომი.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო რაიონში პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. აღინიშნა, რომ იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები კარგად აწყობენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, ძლიერია მასების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა, მრავლდება სამეურნეო წარმატებანი.

სიტყვებით გამოსული დელეგატები — კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი ამხ. ვ. პაპიაშვილი, მეტების აგურის ქარხნის რაციონალიზატორი ამხ. ა. ცალატოზიშვილი და თბილისის ტეფის საწარმოს დირექტორი ამხ. კ. კვიტაიშვილი შეეხერხენენ ამ საწარმოთა კოლექტივების შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობაზე. მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი საწარმოებში ტექნიკური პროგრესის ტემპებს დაჩქარების აუცილებლობას.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

პარტიულმა კონფერენციამ მაღალი აქტივობით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა. დელეგატებმა რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნეს, აირჩიეს რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის დელეგატები.

* * *

შედგა რაიკომის პლენუმი. პარტიის კასპის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. დ. მაღალაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ბ. გეგეძე, მდივნად ამხ. ი. მუხიგულაშვილი.

მ. ხეთაგური.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რათ გინდა მოსავალი, თუ გაანიავებ?!“

ასეთი სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთში ციტრუსოვანთა მოსავლის ნაყოფის ასაღებად მზადების საქმეში „არსებითი, მეტად სერიოზული ნაკლოვანებებია. აფხაზკოოპკავშირის დრანდის შემფუთავ ქარხანაში წელს მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა. მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზკოოპკავშირის ხელმძღვანელობის, მისი დამზადების სამმართველოს, სოხუმის რაიონის დამზადების კანტორის მუშაკთა უმოქმედობის შედეგად აღნიშნული ქარხანა ნორმალური მუშაობისათვის მთლიანად მზად არ არის.

არეკ-დარეკვა ციტრუსების მიღებადგადაშუშავების მხრივ გუდაუთის რაიონში. ამ რაიონის ლენინის სახელობის და ჭაკვაძის სახელობის კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა ციტრუსოვანთა ნაყოფს ათეული წლების განმავლობაში აბარებდნენ ახალი ათონის მიმღებ პუნქტს. ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბუდაღოვის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა თავისი გადაწყვეტილებით აღნიშნულ მეურნეობებს რატომღაც აუკრძალა ახალ ათონში მიმდები პუნქტისთვის ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარება და წინადადება მისცა მათ მოსავალი ჩააბარონ გუდაუთის შემფუთავ ქარხანას, რომელიც კოლმეურნეობებს დაშორებულია 15-25 კილომეტრით.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი გვწერს, რომ საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ეს წერილი, სწორად ცნო კორესპონდენციაში მოხსენებული ფაქტები და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ბიურომ აღნიშნა, რომ აფხაზკოოპკავშირის და მისი დამამზადებელი კანტორის მუშაკების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო ხილის დამზადების საქმე თვითდინებაზეა მიშვებული, რისთვისაც აფხაზკოოპკავშირის თავმჯდომარეს ამხ. ნ. ჩხოტუას და დამზადების კანტორის მმართველს ამხ. ი. ახუბას გაფრთხილება მიეცათ, რომ თუ არ უზრუნველყოფენ ნაყოფის გადამწყვეტ გარდატეხას ხილის დამზადების საქმეში, მერსონალურად აგებენ პასუხს.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ საყვედური გამოუცხადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრის ყდაზოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მ. კესიანს იმისათვის, რომ კოლმეურნეებს უკანონოდ დაუთმო სატვირთო ავტომანქანა საკუთარი ხილის რეალიზაციის ფარგლებს გარეთ გატანის მიზნით. საყვედური გამოეცხადა აგრეთვე სოხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარეს ამხ. ა. სხულუბაია ხილის კრეფისა და დამზადების ორგანიზაციის ჩაშლისათვის.

კაგანოვიჩიდან განჯვრეტ?!

ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი კოლექტივების ოჯახს შეემატა ახალი წევრი — სსრ კავშირის ყურნალისტთა კავშირი. იგი დიადადა ჩვენი ცხოვრების დიად დღეებში, როცა საბჭოთა მშრომელები მამაცურად იბრძვიან კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პროგრამის — შეიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის.

ყრილობიდან დაბრუნებული კალმის მუშაკები, რომლებიც აღიფრთოვანა ყრილობის მუშაობამ, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ ყურნალისტთა მიღებაზე კრემლში, ახლა ღრმად უფიქრდებიან, თუ როგორ უპასუხონ პარტიისა და მთავრობის დიდ ბრუნვას, რა გააკეთონ ამისათვის, რომ ყურნალისტის სიტყვა ღრმად სწვდებოდეს გულში ჩვენს მკითხველებს.

როგორც ყველა შემოქმედებით საქმეში, ასევე საგაზეთო მუშაობაშიც არ არსებობს რაიმე უნიგერსალური რეცეპტი, მაგრამ წარმატების მთავარი კრიტერიუმი უნდა ეს[illegible] თვით ცხოვრებაში. არაფერი ისე საინტერესოს არ ხდის გაზეთს, როგორც ცხოვრებასთან სიახლოვე, შეჭრა ცხოვრების შუაგულში. რაც არ უნდა მდიდარი ფანტაზია გვქონდეს ჩვენ, ყურნალისტებს, კაბინეტებიდან ალ ვერ განვეკრეტთ ყოველივე იმას, რაც ცხოვრების შუაგულში ხდება, რაც ხალხის წიაღში წარმოიშობა და ვითარდება.

ყრილობის მიერ დასახული სერიოზული ამოცანებიდან ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღებია ეწეროთ მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით. ჩვენი პრესა შესანიშნავად ართმევს თავს მუშაობის ისეთ უმნიშვნელოვანეს უბანს, როგორიც არის მოწინავეთა თაოსნობის განზოგადება, შეუპოვარი ბრძოლა ყოველივე ახლისა და პროგრესულის დაწერგვისათვის, განა ვალენტინა გაგანოვას პატრიოტული ინიციატივა სწორედ პრესის საშუალებით არ გაფრცელდა ისე სწრაფად მთელ ჩვენს დიდ სამშობლოში! ვალენტინამ ხომ თვითონ განაცხადა: გაზეთი რომ არა, ჩემი გამოცდილება ასე პოპულარული ვერ გახდებოდაო.

მაგრამ ჩვენს მკითხველს მარტო ის როდი აკმაყოფილებს. მას სურს გაზეთმა მოუთხროს არა მარტო იმის შესახებ, თუ რა კარგი საქმე გაკეთდა, არამედ ამასთანავე უამბოს ჩვენს დიად პერსპექტივებზე, მათი განხორციელების გზებსა და საშუალებებზე.

გაზეთ „სტალინელის“ კოლექტივის თვითეულ წევრს ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიეჩინა, რომ შეიდწლედის დიადი ამოცანები ყველა მშრომელისათვის მისაწვდომი გახდეს, რომ წარმოების ნოვატორმა კარგად იცოდეს მომავლის პერსპექტივები, ჩვენი მიზანდასახულობანი. გაზეთის ფურცლებზე დიაგრამებისა და თვალსაჩინოების სხვა საშუალებათა გამოყენებით სისტემატიურად გაძლევთ წერილებს როგორც სსრ კავშირის და ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების, ისე ქალაქ ქუთაისის მრეწველობის წინსვლის ასასახავად. ამ თემაზე გაზეთში დაიბეჭდა მასალები საავტომობილო, ელექტრომექანიკური, ლიტოფონის, საკოსერვო, მიწის ტარის ქარხნებიდან, აბრეშუმკომბინატიდან, მაუდის ფაბრიკიდან და სხვა საწარმოებიდან.

მთავარი ყურადღება გამახვილებული გვაქვს იმაზე, თუ როგორ ისწავლეს ფრთებს ჩვენს დღეებში შეიდწლედის დიადი პერსპექტივები. ამ საკითხებზე გაცილებით უკეთეს თემებს ეპოლობთ თვით საწარმოებში, ვიდრე კაბინეტში, ვიდრე სარედაქციო თაობირზე. სწორედ ასე მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინათ. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში წარმოების მუშაკებთან საუბრის დროს წამოიჭრა ასეთი საკითხი: საამქროებში ოდმეში მრავალი ახალი დანადგარი, ხორცილდება ტექნიკური სიახლენი, რაზეც გარკვეული თანხა იხარჯება, მაგრამ ამ სიახლით მიღებული ეკონომია იმდენად დიდია, რომ გაწეული ხარჯები ნახევარდება 5-6 თვეში. ჩვენ ვთხოვეთ ფაბრიკის დირექტორს ამხ. კ. ფეროდონიძეს ჩვენი გაზეთისათვის დაეწერა წერილი ასეთ თემაზე: „ტექნიკური პროგრესი და სამეურნეო ანგარიში“. ერთი კვირის შემდეგ ამხ. კ. ფეროდონიძისაგან მივიღეთ ორმა ანალიზიანი, საინტერესო ფაქტებზე აგებული მასალა.

ეს თემა ჩვენ არ მიგვიგიწყიბია. ამის შესახებ შემდეგ წერილი შეიტანეთ სახელმწიფო ბანკის მმართველს ამხ. შ. სინატაშვილს, რომელმაც აგრეთვე საინტერესო მასალა გამოგვიგზავნა.

ჩვენი გაზეთი მხარს უჭერს საწარმოებში წამოჭრილ ინიციატივას. სისტემატურად ვაძლევთ მასალებს, თუ როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულება, რა არის საჭირო, რომ უკეთეს მაჩვენებლებს მივაღწიოთ. ავტომობილმშენებელთა თაოსნობამ შეიდწლედის რეზიბუნტური ფონდის შესაქმნელად ფართო ასახვა ჰპოვა გაზეთის ფურცლებზე. ამ საკითხზე შემოიღეთ კლიტერებული წარწერა: „რა შესძინე დღეს შეიდწლედის ფონდს“. ამ გაწყობილებაში დადგინი მასალებთან ერთად ვბეჭდავთ კრიტიკულ შენიშვნებსაც. გაზეთი აქტიურად მონაწილეობს ეკონომიისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში, რომელიც ყველა წარმატებით მიმდინარეობს. 21 ნოემბერს გამოვაქვეყნეთ ცნობა, რომ შეჯიბრების ინიციატორებმა — ავტომობილმშენებლებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება — შეიდწლედის პირველ წელს ნაცვლად 7 მილიონისა დაზოგეს 7.527 ათასი მანეთი.

ამ დღეებში აქტივთან ერთად საწარმოებში მოვაწყეთ მასობრივი რეიდი იმის შესასწავლად, თუ სად როგორ ასრულებენ ვალდებულებას, რა რეზერვები და საშუალებები აქვთ შეიდწლედის რესპუბლიკური ფონდის გასამდიდრებლად.

ჩვენ ერთი წუთითაც არ ვიეიწყებთ, რომ კომუნისტმასაკენ წინსვლა გულისხმობს არა მარტო საწარმოო ძალების მაღალი დონის მიღწევას, განვითარებულ იკონომიკას, არამედ წარსული ადამიანური ურთიერთობებისაგან თავისუფალი ახალი ადამიანების ფორმირებას. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შეიდწლედის მოწინავე ადამიანების მამაცური შრომის ასახვასთან ერთად მოუთმენლად გვეკრიტიკებთ ჩამორჩენილებს, ლოთებს, უსაქმურებს, რომლებიც ჩვენი დიდი დღეგანდელობის ხორცმტეხები არიან.

განა ასეთი ადამიანები გაკიცხვის ღირსი არ არიან?! მით უფრო დღეს, როცა სულ უფრო ფართოდდება ბრძოლა ჩვენი ნათელი მომავლის ასაშენებლად, კომუნიზმის დიადი შენობის ასაგებად.

ჩვენ გვინდა დაეამთავროთ მაიაკოვსკის სტრიქონებით:

გაზეთის მუშაკი —
პროკურორი ძველი,
სტრაქონით და ცხოვრებით
მშენებლობის მცველი.

გ. მეფისაშვილი,
ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქტორი.

ეს საერთო-სახალხო საქმეა

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის სახელმწიფო ორგანოების მხარდამხარ იბრძვიან ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში დაარსებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულები. ისინი მტკიცედ იცავენ მოქალაქეთა უფლებებს, სახელმწიფო ინტერესებს, ამყარებენ საზოგადოებრივ წესრიგს, ადამიანებს უნერგავენ ურთიერთ პატივისცემის გრძნობას.

ამ წმიდათა-წმიდა მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში შეგებებულად ჩაება ფოთის საწარმო-დაწესებულებების მოცალი მუშა და მოსამსახურე. დღისათვის ქალაქში შექმნილია ოცამდე ასეთი რაზმი, სადაც გაერთიანებულია 500-ზე მეტი ვერი.

თეატრისა და კინოს შენობებთან, მოედნებზე, ქუჩებში ნახავთ მკლავზე წითელ არშიაშემოვლებულ მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მოქალაქეთა საქციელს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცველები წინასწარ ატარებენ აღმზრდელობითს ღონისძიებებს, სწავლობენ წესრიგის დარღვევის ძირითად მიზეზებს, ავლენენ დამნაშავეებს.

ცოცხალი, ოპერატიული მუშაობით ხასიათდება ნავსადგურის, წისქვილკომბინატის, ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის, არტელ „პირველი მაისის“ და სხვა სახალხო რაზმეულთა წევრების მუშაობა, ახლა სავრცნობლად შემცირდა ქალაქში წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

თვითეულმა რაზმელმა გონივრულად შეისასწავლა ზორაცა დაცისრებული მოვალეობა და საუკეთესო შედეგებსაც აღწევს. რკინიგზის კვანძის სახალხო რაზმეულის წევრს ა. სანკანის წესრიგის პრაერთი დარღვევები მოუყვანია საქალაქო შტაბში ან მილიციის განყოფილებაში.

ფოთის რკინიგზის კვანძის ტერიტორიაზე მთავარ მდგომარეობაში მყოფმა მ. გუშჩევამ და თ. ადაჩუქმა ატეხეს დიბომი, უდიერად ეექცეოდნენ გამვლელებს. ა. სანკანამ ჯერ გაფრთხილა წესრიგის დამრღვევნი, როცა დარიგებამ არ გასჭრა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტაბში წაიყვანა ახლინ. ნავსადგურის სახალხო რაზმის წევრების წინწალაშვილისა და ა. წულაიას მორიგეობის დროს ქალაქის კინოთეატრის სალარასთან რამდენიმე ახალგაზრდა შეეცადა ბილეთის ერიგიდან ალების, რასაც არეულობა და წესრიგის დარღვევა მოჰყვა. სახალხო რაზმელებმა წინწალაშვილის მეთაურობით წესრიგი ალადგინეს და უზრუნველყვეს სალარის ნორმალური მუშაობა.

ასევე კეთილსინდისიერად ეპყრობიან მინდობილი დავალების შესრულებას ქალაქის მოწინავე რაზმელები ა. ბერაძე, ძმები ნ. და ა. ლაშქარაძეები, გ. წოწონავა, ვ. ტუღუში, ა. მუთადოვი, მ. ბალათური, ა. ყიფიანი და სხვები.

სახალხო რაზმებს უნარიანად ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქალაქო შტაბი, რომელშიც პარტიული და საბჭოთა აპარატის მუშაკები თანამშრომლობენ.

თვეში ორჯერ ტარდება შტაბის წევრებისა და ქალაქის აქტივისტთა სხდომა, რომელზეც განიხილავენ რაზმების მიერ გაწეული მუშაობის, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი მოქალაქეებისა და ოჯახური კონფლიქტების საკითხებს. შტაბის წევრები საქალაქო მილიციის ორგანოებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობენ საწარმოებსა და დაწესებულებებთან შექმნილი ამხანაგური სასამართლოების სხდომების მოწყობაში, მუშა-მოსამსახურეთა წინაშე გამოდიან სიტყვებით, აკრიტიკებენ დამნაშავეებს.

ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონის მუშათა კოლექტივის ამხანაგურმა სასამართლომ იმსჯელა მათი თანამოსაქმის რ. თოფურიას ხულიგანური მოქმედების შესახებ, რომელმაც სიმთვრალის დროს სცემა უდანაშაულო მოქალაქეს. ამხანაგებმა დაგმეს რ. თოფურიას ულირსი საქციელი და იმავე დროს აღნიშნეს, რომ რ. თოფურიაა საწარმოო დავალებას პირნათლად ასრულებს, მოითხოვეს იგი კოლექტივისათვის გადაეცათ აღსაზრდელად და გამოსასწორებლად. ასევე მოიქცნენ, ამხანაგურმა სასამართლომ საჯაროდ გაკიცხა რ. თოფურია.

სახალხო რაზმის შტაბი მრავალფეროვან ღონისძიებებს ატარებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღმოსაფხვრელად, მოხერხებულად იყენებს საწარმოებსა და მოსახლეობას შორის ინტენსაზოგადოებრივი საქციელის სწორაღმდეგო ლექციურ პროპაგანდას. უკანასკნელ ხანებში შტაბის წევრებისა და აქტივისტების გ. მანჯგალაძის, ზ. ჭგუბერიას, ი. ხუციელავის, გ. ხოჭოლავას, გ. სვანიძის და სხვათა მიერ საწარმოებსა და მოსახლეობაში წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „საბჭოთა სოციალისტური სამართალი“, „საბჭოთა აღმიანის მორალი“.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფოთის საქალაქო შტაბი სახალხო რაზმეულებთან მტკიცე თანამშრომლობით ენერგიულად იბრძვის, რათა ალიკვეთოს ქალაქში წესრიგის დარღვევის შემთხვევები და პატიოსან საბჭოთა მოქალაქეებს ყოველთვის ჰქონდეთ შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები.

თ. მანაგაძე,
საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქალაქო შტაბის უფროსი.

* * *

სურათზე: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულის ფოთის საქალაქო აქტივის თათბირი. ფოტო ბ. გავრილენკოსი.

დარვინიზმი მუდამ იცოცხლეებს

ამ წლის წინათ, 1859 წლის ნოემბერში, პირველად გამომცა ჩ. დარვინის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „სახეთა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩენის გზით ანუ უყვარ შეგებულთა გადარჩენა არსებობისათვის ბრძოლაში“. ხოლო 150 წელი გავიდა პირველი მეოლეციონისტის ჟან ლამარკის „ზოოლოგიის ფილოსოფიის“ გამოქვეყნებიდან. სწორედ ამ ლარსსასხოვარ თარიღებს ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სიუბილეო სესია, რომელიც დღეს იხსნება.

ამ ნაშრომში დარვინმა დაასაბუთა ორგანული სამყაროს განვითარების კანონი და ამით საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ბიოლოგიას. ამ წიგნმა ყველა ქვეყნის სწავლულთა ყურადღება მიიპყრო. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ პირველი გამოცემა მთლიანად გაიყიდა პირველ დღესვე. დარვინის წიგნის ასეთი წარმატება აიხსნება იმით, რომ დარვინმა დაამსხვრია ანტიმეცნიერული შეხედულება ორგანული სამყაროს წარმოშობისა და განვითარების შესახებ, რომელიც დიდხანს ბატონობდა მეცნიერებაში.



ჩარლზ დარვინი

დარვინის „სახეთა წარმოშობის“ გამოქვეყნების 100 და ლამარკის „ზოოლოგიის ფილოსოფიის“ გამოქვეყნების 150 წლისთავი

1831 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დარვინს შესაძლებლობა მიეცა გამგზავრებულიყო ექსპედიციაში დედამიწის გარშემო გემ „ბიგლით“.

დარვინების შემდეგ თავისი მდიდარი კოლექციებისა და ფაქტების დამუშავებისა და ამავე დროს ნატურალისტების მიერ ცოცხალ ბუნებაში შეშჩნეული მრავალი ფაქტის ანალიზისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გამოცდილების გამოყენების შედეგად შეიმუშავა თავისი ევოლუციური თეორია.

დარვინმა შეაჩნია, რომ ბუნებაში ადგილი აქვს მცენარეთა და ცხოველთა სახეების ცვლილებადობას, მათი დამახასიათებელი ნიშნთვისებების ცვლილებას, ხოლო მემკვიდრეობითობის საშუალებით ეს ცვლილებადობა თაობიდან თაობაში გადადის და გრძელდება. ასეთი ცვლილებები მემდინარეობდა როგორც ხელოვნურ, ისე ბუნებრივ პირობებში. პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს ადამიანის პრაქტიკას. ე. ი. ხელოვნურ გადარჩევას ადამიანი წარმართავს თავისი ინტერესების სასარგებლოდ, ხოლო ბუნებრივ პირობებში ადამიანის საქმიანობას ცვლის ბრძოლა არსებობისათვის და ამ ნაადგილზე წარმოებს ბუნებრივი გადარჩევა, ანუ უკეთ შეგებულთა გადარჩენა.

ამ ფაქტორების (ცვალებადობა, მემკვიდრეობითობა და ბუნებრივი გადარჩევა არსებობისათვის ბრძოლის ნიადაგზე) მოქმედების შედეგად მომდინარეობდა ცოცხალი სამყაროს განვითარება სიცოცხლისათვის სასარგებლო ცვლილებათა მქონე ორგანიზმების, ე. ი. შეგებულთა გადარჩენა ამ ბრძოლაში, ე. ი. ნაკლებსაფარ ცვლილებათა მქონე ორგანიზმების დაღუპვა. ამით დარვინმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მატერიალისტურ მეთოდს ბიოლოგიაში.

ორგანული სამყაროს განვითარების მატერიალისტური თეორია აღიარებს შეძენილ ნიშნთვისებათა მემკვიდრეობით გადაცემას. ჯერ კიდევ პირველმა ევოლუციონისტმა ჟან ლამარკმა თავის „ზოოლოგიის ფილოსოფიაში“ ჩამოაყალიბა დებულებები, რომელთა მიხედვითაც აღიარებულია გარემო პირობების აქტიური როლი ცოცხალი ორგანიზმების განვითარებაში და შეძენილ ნიშნთვისებათა მემკვიდრეობითობა. დარვინი აღიარებდა შეძენილი ნიშნთვისებების მემკვიდრეობით გადაცემას.

მართალია, დარვინის მოძღვრება თავის ძირითად ნაწილში მატერიალისტურია, მაგრამ არ შეიძლება, როგორც ამას ფრ. ენგელსი მიუთითებდა, სიცოცხლის ისტორიული განვითარებისა და გართულების მთელი მრავალგვაროვანი დაყვანილ იქნას არსებობისათვის ბრძოლის ფორმულამდე. მართალია, ენგელსი ამბობს, რომ არსებობისათვის ბრძოლას ადგილი აქვს ჭარბდასახლებულობის დროს, მაგრამ ამის შემთხვევასაც აღნიშნავს, როდესაც „სახეები იცვლებიან, ძველები იხოცებიან, ხოლო ახალნი, უფრო განვითარებულნი მათ ადგილს იკავებენ ამ ჭარბი დასახლებულობის გარეშე: მაგალითად, ცხოველთა და მცენარეთა ახალ მხარეებში დასახლების დროს, სადაც ახალი კლიმატური, ნიადაგის და სხვა პირობები ცვლილებას იწვევენ. თუ აქ შეგებულნი იხდევიდენ ძველ სლენგენ და სულ უფრო და უფრო მზარდი შეგებების გამო ახალ სახედ ყალიბდებიან, მაშინ როდესაც სხვენი, უფრო სტაბილური ინდივიდუმები იღუპებიან და ბოლოს სულაც ამოწყდებიან არასრულ შეგებულ ფორმებთან ერთად, ეს შეიძლება ხდებოდეს და ფაქტიურად ხდება კიდეც — ყოველივე მალთუსიანიზმის გარეშე“.

საერთოდ, ორგანიზმების ევოლუციაში მთავარ როლს ენგელსი ანიჭებს შეგებებით ცვალებადობას. ენგელსის ამ მითითებას საბჭოთა შემოქმედებითი დარვინიზმის განვითარებისათვის ჰქონდა და აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

დარვინის მოძღვრება მიიღო მთელმა მოწინავე აკადემიკოსმა, მხოლოდ ბიოლეოსმოცდაექვსულებმა და სამღვდელოებამ, რომელთა შავბნელი „თეორიებისათვის“ სასაკვდილო განაჩენი ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკის პირისპირ

ცათამგზნებელი ქალაქი

ნიუ-იორკი... არა გვგონია მსოფლიოში იყოს რომელიმე სხვა ქალაქი, რომელიც იწვევდეს მსე ბევრ დავას, სხვადასხვა მსჯელობას, შეხედულებებს, შეფასებებს, როგორც ეს რკინაბეტონის ბუმბერაზი, რომელიც აღმართულია ოთხ გრანიტის კუნძულზე და მატერიკის ნაკვეთზე. ამ ქალაქის დანახვისას არავინ არ რჩება გულგრილი. იგი ზოგის არაკეთილგანწყობილებას იწვევს, ზოგის — აღტაცებას. ზოგნი მას „ქვისა და ფოლადისაგან შექმნილ პოემას“ უწოდებენ, ზოგნი — უსულგულო ურჩხულს. იგი მსოფლიოს სხვა ქალაქებს არა ჰგავს, და მათ შორის ცნობილია როგორც „ობელი“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ ნიუ-იორკში ნ. ს. ხრუშჩოვის ჩასვლისადმი მიძღვნილ მოწონვიე სტატიაში წერდა: „ჩვენს ქალაქზე იმდენივე აზრი არსებობს, რამდენი ადამიანიც ცხოვრობს მასში და რამდენი ტურისტიც ნახულობს მას... ჩვენ არ ვაპირებთ გამტაციოთ, რომ სრულყოფილ ქალაქში ვცხოვრობთ. ბევრს ჯრ მოსწონს ჩვენი ხმაური და ქუქყი, მოგრუხუნე მიწისქვეშა მატარებელი და ქუჩის მოძრაობის ფანტასტიკური ტემპი. ჩვენ გვაფიქრებს ჯურღმულების პრობლემა და ანალგაზრდობის ყოფაქცევის პრობლემა...“

...ქალაქის რვამილიონიანი მოსახლეობა მსოფლიოს 70 სხვადასხვა ქვეყნიდან და კონტინენტიდან გამოსულთა მრავალეროვან და მრავალენან უაღრესად ჭრელ კონგლომერატს წარმოადგენს. ნიუ-იორკში ცხოვრობს მეტი ირლანდიელი, ვიდრე დუბლინში, მეტი ისლანდიელი, ვიდრე რეიკიავიკში, მეტი იტალიელი, ვიდრე რომში, და მეტი ებრაელი, ვიდრე მთელ ისრაელში.

ნიუ-იორკი არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დიდი ქალაქია მოსახლეობის რიცხვით (გარეუბნებიანად ეგრეთწოდებულ „დიდ ნიუ-იორკში“ დაახლოებით 14 მილიონი კაცი ცხოვრობს), არამედ ამ ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრიც არის. მისი ხუთი რაიონის (მანჰეტენი, ბრონქსი, ბრუკლინი, კუინსი და რიჩმონდი) ტერიტორიაზე განლაგებულია 38 ათასი მსხვილი საწარმო და 234 ათასი წვრილი ფაბრიკა და სახელოსნო...

...ეს ქალაქი, როგორც გიგანტური ფაბრიკა, ყოველწლიურად ოქროდაკი ათეულ მილიონობით ტურისტს, — ამერიკელებსა და უცხოელებს. და, რა თქმა უნდა, თვითეულ მათგანს თავის მოგალობად მიაჩნია შეხედოს ბროდვეის „ბროდვეის“ — ნიუ-იორკის ყველაზე ხმაურიან, მყვირალა, ნერონის შუქით გაჩახჩახებულ ქუჩას. აქ ყველაფერზე ბატონობს ყოველსშემძლე რეკლამა...

...თავისი ხმაურიანი მეზობლის — ბროდვეის წინააღმდეგ, ფოლ-სტრიტს არ უყვარს საჯაროდ გამოეფინოს, მას ეშინია შუქისა და ადამიანთა ფუსფუსისა. ყველაზე კაშკაშა მზიან დღისაც კი იგი ნაბეგრადწყვდიადშია ჩაფლული, და მის რკინაბეტონის ხეობაში ძლივს აღწევს დიდი ქალაქის ხმაური.

მაგრამ აქ, ფოლ-სტრიტის ხეობაში, მუხის მსხვილ კარებს უკან, მორგანთა, როკფელერთა, ჰარიმანთა, კუნ-ლებთა და „დიდი ბიზნესის“ სხვა მბრძანებელთა საქმიანი კაბინეტების მყუდროებაში, არა მარტო თვლიან და „აკეთებენ ფულს“, — აქ „ჰოლრიტიას აკეთებენ“. ტყვრილად ხომ არ არის, რომ ნიუ-იორკს, რომელიც ბაქსამ გორკიმ დაახასიათა როგორც „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“, ამერიკის „არაოფიციალურ დედაქალაქს“ უწოდებენ!

დიდია ნიუ-იორკის ცათამბჯენები, მაგრამ მათ არ ძალუძთ დაფარონ მეორე ნიუ-იორკი — სავსებით ჩვეულებრივი, შეუხედავი ორსამსართულიანი პატარა სახლების ქალაქი. აქ ცხოვრობენ გულღია, გულკეთილი, ხელგადაკრეფილები უბრალო ადამიანები.

შეხვედრა „დიდ გიზნესთან“

რამ

დღეს პარიზში

⊙ დინამოელები პარიზში დაბრუნდნენ. ⊙ საფრანგეთის პრესის აღიარება. ⊙ რევანში უნდა შედგეს. ⊙ მატჩი ტრანსლირებულ იქნება.

ღიდერთან მატჩის წინ

გუშინ საღამოს ჩვენს რედაქციას პარიზიდან ტელეფონით დაუკავშირდა სპორტული რადიოკომენტატორი ვალიმ სინიავსკი. ეი რა გვაცნობა მან:

— ეს-ეს არის ჭალაქ რეიმსიდან პარიზში დავბრუნდით. ჯერ კიდევ არ დავბინავებულვართ სასტუმროში, ვჩქარობ, მინდა ზოგი რამ მოგაწოდოთ, რომ თბილისელი სპორტის მოყვარულები საქმის კურსში იყვნენ.

საფრანგეთში უყვართ „რეიმსი“ და ამაში გასაკვირველი არაფერია. მაგრამ, მართალი გითხრათ, მატჩი შემდეგ ფეხბურთის გულშემატკივრების სახეზე კმაყოფილება, აღფრთოვანება არ შეგვიმჩნევია. მათ მხრების აჩეჩით დატოვეს სტადიონი. ჩანდა, რომ კმაყოფილი არ იყვნენ ასეთი საეჭვო გამარჯვებით.

და მართლაც. მთელ ბრძოლას ზოლად გასდევდა მსჯავრის მიერ დინამოელთა შეგიწროების სურვილი, არაობიექტურობა, უმართებულო ჯარიმები.

შემოხვევით, ან უკიდურესი სტუმართმოყვარეობით როდი აიხსნება ის, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა „რეიმსის“ ხელმძღვანელებთან ერთად სინიანული გამოთქვა და ბოდიში მოიხადა საბჭოთა სპორტული დელეგაციის წინაშე ასეთი მსჯობისათვის, შეიძლება ითქვას, აშკარა მიკერძოებისათვის.

მარტო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და „რეიმსის“ კლუბის ხელმძღვანელები კი არ არიან ასეთი აზრისა, არამედ საფრანგეთის მთელი პრესაც.

2 დეკემბრის დილის გაზეთებში მატჩის სხვადასხვა მომენტების ამსახველ ფოტოსურათებთან ერთად დაბეჭდილი იყო სპორტული კომენტატორების, ფეხბურთის სპეციალისტების ვრცელი რეცენზიები. გაზეთებში „ფიგაროში“, „ეკოპში“, „ლიბერასიონში“, „ორორში“ და სხვ. თითქმის ერთხმად აღიარებულია მთავარი მსაჯის დებანის, აგრეთვე გვერდითი მსაჯების არაობიექტურობა, მიკერძოება, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სინანული, მაყურებელთა უკმაყოფილება. დებანს „რეიმსის“ მე-12 წოთამაშე შეარქვეს.

დიახ, ყოველივე ეს ასე მოხდა. ახლა საჭიროა დინამოელებმა ფეხბურთის ფრანგ მესვეურებს დაუმტკიცონ, თუ რის გაკეთება შეუძლიათ მათ. წინ არის მეტად პასუხსაგები თამაში, ბრძოლა „ნიმის“ წინააღმდეგ. შეძლებენ თუ არა თბილისელები რევანშის აღებას, ამას დღევანდელი მატჩი გვიჩვენებს.

მე ვიტყოდი, რომ დინამოელები ბრძოლის შესანიშნავ განწყობილებაზე არიან და უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი პარიზელებს კვლავ უჩვენებენ თავიანთ ოსტატობას, ვირტუოზობას.

რას წარმოადგენს თბილისის „დინამოს“ დღევანდელი მოწინააღმდეგე? იგი საფრანგეთის პირველობის გათამაშების ლიდერია, „რეიმსს“ 1 ქულით უსწრებს. ამ რამდენიმე დღის წინათ ჩემპიონატის ლიდერისა და „რეიმსის“ კალენდარული შეხვედრა დამთავრდა ფრით 2:2. აღსანიშნავია, რომ თამაში ანგარიშით 1:0, 2:1 მიმყავდათ პარიზელებს. რეიმსელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. დამარცხებისათვის თავის დაღწევა. „ნიმი“ ახლა გაზრდა. შესანიშნავი ფიზიკური მონაცემების მქონე და მაღალი ტექნიკით აღჭურვილი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. მათ თამაშს ახასიათებს კოლექტიურობა, კომბინაციათა მრავალფეროვნება. დარტყმის სიზუსტე.

მაშ ახლ. ნახვამდის. მიკროფონის ჩართვამდე. თბილისის „დინამოს“ და პარიზის „ნიმის“ მატჩის ტრანსლაცია დაიწყება 0 საათსა და 15 წუთზე.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ლიპეცკი. 1 დეკემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ მოეწყო ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეექვსე და მეშვიდეტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

ოსტატ ნ. გაფრინდაშვილს ტ. ზატულოვსკაიასთან გადადებულ პარტიაში პოზიციური და მატერიალური უპირატესობა ჰქონდა. მან კარგად გამოიყენა იგი და გაიმარჯვა. სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. ვოლპერტმა დაამარცხა ვ. ტიხომიროვა. მ. ტოგონიძე—ტ. ზატულოვსკაია. ო. რუბცოვა-თ. დმიტრიევასა და ლ. ბელავენეცი-ე. კაკაბაძის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ლიპეცკი. 2 დეკემბერი. (სპეც. კორ.). ჩვენი ქვეყნის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის დღითიდღე საინტერესო ხდება. დღეს გაიმართა მერვე ტური.

შეხვედრათა უმრავლესობაში აღნიშნული იყო ყაიმები. მაგალითად, თ. დმიტრიევა-ა. ვიტკოვსკაია, ო. სემიონოვა-ო. რუბცოვა, ვ. ტიხომიროვა-ს. როოტარე, მ. ტოგონიძე-ლ. იაკონი, ნ. გაფრინდაშვილი-ნ. ვოიცეკი და ლ. ბელავენეცნ. კოლოტი ყაიმზე შეთანხმდნენ. ლ. ვოლპერტმა დაამარცხა კ. სკეგინა. ე. კაკაბაძე-ა. რუბინჩიკის პარტია გადადებულია ე. კაკაბაძისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

8 ტურის შემდეგ ლ. ვოლპერტს 6 ქულა აქვს, თ. დმიტრიევას — 5 ქულა.

3 დეკემბერს გაიმართება მეცხრე ტური.

ერევნის ნახევარფინალი

ერევანი. 2 დეკემბერი. (სპეც. კორ.). გაიმართა მეთერთმეტე ტური.

ამ დღეს 8 გათამაშებული პარტიიდან დამთავრდა 4, ხოლო დანარჩენი — გადაიდო. გროსმაისტერები ი. ავერბახი და ე. გელერი 22-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ა. ყარაჯაევ-ს. ჭალალბეილისა და ბ. გურგენიძე-ა. ბოსლაევის პარტიებში. ა. გელერმა მოუგო ე. თათევოსიანს.

თერთმეტი ტურის შემდეგ ე. გელერს 9 ქულა აქვს, ი. კლოვანს — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ი. ავერბახს — 7,5 ქულა, ბ. გურგენიძესა და ა. ბოსლაევს — შვიდ-შვიდი ქულა.

3 დეკემბერს გაიმართება მეთორმეტე ტური.

მღერის მ. ალექსანდროვიჩი

პირველ დეკემბერს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა თბილისელებისათვის კარგად ცნობილი მომღერლის, რსფსრ დამსახურებული არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის მიხეილ ალექსანდროვიჩის კონცერტი. ალექსანდროვიჩის საშემსრულებლო რეპერტუარი მეტად მრავალფეროვანია. იგი შეიცავს რუსი კლასიკოსების, დასავლეთის საოპერო ხელოვნების ოსტატთა და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მომღერლის საკონცერტო გამოსვლებში დიდი ადგილი უჭირავს ესპანურ, ნეაპოლიტანურ და ებრაულ ხალხურ სიმღერებსაც.

ალექსანდროვიჩის კამერული ჟღერადობის მეტად სასიამოვნო ტემბრის ხმა აქვს. სწორედ ამიტომ მომღერალს განსაკუთრებით ეხერხება ლირიკული, მინიატიურული ხასიათის ნაწარმოებები. პირველ განყოფილებაში შესრულებული ნაწარმოებებიდან უნდა აღინიშნოს იპოლიტოვ-ივანოვის 5 მინიატურა, დაწერილი იაპონელი პოეტების ლექსებზე. მომღერალმა შესანიშნავად გადმოგვცა თვითეული მათგანის ნაზი, თავისებური კოლორიტი, ღრმად პოეტური განწყობილება. კარგად იყო შესრულებული სლავიანსკის მოხდენილი მადრიგალი პუშკინის ტექსტზე და დოლმანოვსკის „მასხარას სიმღერა“. რაც შეეხება არიებს დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ოპერებიდან, აღსანიშნავია ალიაზარის ამაღელვებელი არია ჰალევის ოპერა „კარდინალის ქალიშვილიდან“, რომელიც მომღერალმა დიდი დრამატული ძალით შეასრულა, და დონ ოტავიოს მომხიბვლელი ლირიკული არია მოცარტის „დონ ჟუანიდან“. აქვე უნდა ვუსაყვედუროთ მომღერალს ის ერთგვარი გამომსახველობითი ერთფეროვნება, რაც შესამჩნევი იყო დონიცეტის, ბიზეს, ვერდის შესანიშნავ მუსიკალურ ნომრებში.

კონცერტის მეორე განყოფილება მთლიანად ესპანური, ნეაპოლიტანური და ებრაული სიმღერებისაგან შედგებოდა. ალექსანდროვიჩი ოსტატურად ასრულებს ამ ჟანრის ნაწარმოებებს, ქმნის სახასიათო ხმოვანებას და განწყობილებას. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ნეაპოლიტანურ სიმღერებს: „მითხარ რისთვის“, „დაბრუნდი სორენტოში“, „გამოდი“, ალვარესის ესპანური სიმღერა „განშორებას“ და სხვ.

მიხეილ ალექსანდროვიჩის გარდა კონცერტში მონაწილეობა მიიღეს პიანისტმა ისაკ იზაჩიკმა და მხატვრული კითხვის ოსტატმა ლუტინამ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პიანისტ იზაჩიკის გამოსვლა. მან კარგად შეასრულა რახმანინოვის რომანტიკული პათოსით აღსავსე ეტიუდი-სურათი და ლისტის ვირტუოზული ტარანტელა. თუმცა იზაჩიკს — კონცერტმეისტერს უფრო მეტი წარმატება ხვდა, ვიდრე იზაჩიკს — სოლისტს. მას სწორი შინაგანი ინტუიცია აქვს და ფაქიზად გრძნობს ანსამბლს. მან აკომპანიმენტის რთული ხელოვნების მოსაწონი ოსტატობა გვიჩვენა. საინტერესო იყო მხატვრული კითხვის ოსტატის ლუტინას გამოსვლაც. მან წაიკითხა საბჭოთა პოეტების ლირიკული ლექსები. კონცერტი მსმენელებმა გულთბილად მიიღეს.

მზია რამიშვილი.

* * *

სურათზე: მღერის მიხეილ ალექსანდროვიჩი. რიალთან — კონცერტმეისტერი ისაკ იზაჩიკი.

ფოტო ვ. ზარიძისა.



კონგოს ეროვნული მოძრაობის და აფრიკის სოლიდარობის პარტიებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომლითაც მოითხოვენ კოლონიური რეჟიმის შეცვლას და კონგოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. (გაზეთებიდან).

თავისუფლებას მოითხოვს კონგო,
დგება, იღვიძებს აფრიკა შავი.
მუშტი ამართა და მერე როგორ!
ბევრ გადამთიელს წააძრო თავი.

ნახ. გ. ლომიძისა.

საგლეხოგანი

ადენაუერის მოლაპარაკება პარიზში

პარიზი, 1 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბარანოვი გადმოგვცემს: დასავლეთ გერმანიის კანცლერი ადენაუერი დღეს პარიზში ჩამოვიდა საფრანგეთის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებთან ორი დღის მოლაპარაკებისათვის.

ამ მოლაპარაკების დღის წესრიგი ოფიციალურად გამოქვეყნებული არ არის. როგორც ღღეს გაზეთი „კომბა“ იუწყება, მოლაპარაკების მთავარი თემები ადენაუერსა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის იქნება დასავლეთის სახელმწიფოთა თათბირის მომზადების, გერმანიის გაერთიანების საკითხები და ბერლინის პრობლემა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა, აგრეთვე „საფრანგეთ-გერმანიის სადავო პრობლემები“.

პარიზის პრესის მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ დასავლეთ გერმანიასა და საფრანგეთს შორის ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში სერიოზული უთანხმოებაა. „მთავარი უთანხმოება, — წერს მემარჯვენე გაზეთი „ორორი“, — არსებობს ევროპისა და ნატოს შესახებ“. გაზეთი „ლიბერასიონი“ თავის მხრივ აღნიშნავს უთანხმოების არსებობას „საერთო ბაზრის“ წევრებსა და ინგლისს შორის ეკონომიური ურთიერთობის, „დასავლეთ გერმანიაში ზეეროვნული პოლიტიკური ორგანოების“ შექმნის დარგში, ოდერ-ნოისეზე გერმანია-პოლონეთის საზღვრის საკითხსა და ზოგიერთ სხვა საკითხში.

გაზეთი „კომბა“, რომელიც ახლო დგას საფრანგეთის ახლანდელ მთავრობასთან, ამ დღეებში წერდა, რომ კანცლერი ადენაუერი შეეცდება შეათანხმოს პარიზში საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის პოზიცია „დასავლეთის უმაღლეს დონეზე თათბირის“ წინ. ეს თათბირი, მისი მოწვევის ინიციატორების განზრახვით, უნდა გახდეს უმაღლეს დონეზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის წარმომადგენელთა თათბირისათვის დასავლეთის სახელმწიფოთა მომზადების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

კომენტარს უკეთებს რა ადენაუერის გამგზავრებას პარიზში, დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, რომ ადენაუერის ახლანდელი ვიზიტის მთავარი მიზანი ხელი შეუშალოს დაძაბულობის შემდგომ შენელებას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობაში. მაგალითად, გაზეთი „ლუმანიტეს“ მიმომხილველი ივ მორო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადენაუერს იმედი აქვს. ითვალისწინებს რა დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს მომავალ თათბირს, საფრანგეთი რაც შეიძლება მეტ ხანს იყოლიოს „ცივი ომის“ მომხრეთა ბანაკში.

გაზეთი „ლიბერასიონი“ წერს, რომ დასავლეთ გერმანიის კანცლერი პარიზს ჩამოვიდა აგრეთვე იმისათვის, რომ საფრანგეთში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტისა და უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის წინ მიიღოს საფრანგეთის მხრივ თავის ღონისძიებათა მხარდაჭერა, რომელთა მიზანია „საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ჩაშლა, ბერლინის შესახებ ყოველგვარ შეთანხმებაზე და შეზღუდული შეიარაღების ზონის შექმნაზე უარის თქმა“.

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესი). კანცლერი ადენაუერი, რომელიც აქ იმყოფება ვიზიტით, გუშინ შეხვდა პრეზიდენტ დე გოლს ელისეს სასახლეში. შემდეგ იგი ესაუბრა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს. საუბარს დაესწრნენ საფრანგეთისა და გერმანიის ოფიციალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების პირველი დღის დასასრულს საგარეო საქმეთა სამინისტროში მოეწყო პრესკონფერენცია, რომელზეც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბარადიუმმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების დროს ბევრი ყურადღება დაეთმო დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა მოლაპარაკებისა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უმაღლეს დონეზე თათბირის მომზადების საკითხს. განხილულ იქნა უმთავრესად ამ თათბირის შესაძლო დღის წესრიგი.

პორეის საკითხი უნდა გადაიჭრას

29 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ პ. პ. ლობანოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ვ. პეივემ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარეს ცოი ვონ თხეკს გაუგზავნეს საპასუხო წერილი, რომელშიც ატყობინებენ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სავსებით მხარს უჭერს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების 27 ოქტომბრის წერილში წამოყენებულ წინადადებებს, კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენის შესახებ მშვიდობიან დემოკრატიულ საწყისებზე.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, ნათქვამია წერილში, რომ კორეის საკითხის გადაჭრა უნდა დაიწყოს იმით, რომ გაყვანილ იქნან სამხრეთ კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარები მსგავსად იმისა, როგორც გაიყვანეს გასული წლის შემოდგომისათვის ჩინეთის სახალხო მოხალისეები ჩრდილოეთ კორეიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომელთა ჯარებიც სამხრეთ კორეაში იმყოფებიან, გამოიწვიონ ისინი შინ და ამით ხელი შეუწყონ იმას, რომ შეიქმნას წინამძღვრები კორეის გაერთიანებისათვის მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე, შეიტანონ თავიანთი წვლილი შორეული აღმოსავლეთის მშვიდობის განმტკიცებაში. (საკდესი).

საპასუხო ვიზიტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი ბირმაში გაემგზავრა

1 დეკემბერს ბირმის პარლამენტის პალატების თავმჯდომარეთა მიწვევით ბირმაში საპასუხო ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე პ. პ. ლობანოვი გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა ე. ი. აფანასენკომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილემ ვ. გ. ვისოტინმა, აგრეთვე ბირმის კავშირის ელჩმა სსრ კავშირში უ ჩინმა. (საკდესი).

ურთიერთგაგების სულისკვეთებით

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობა

სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის 1960-1962 წლებში საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ამ ბოლო დროს მოსკოვში საფრანგეთის სავაჭრო დელეგაციასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება 1960 წლისათვის საქონლის ურთიერთ მიწოდების სიების დაზუსტებისა და შევსების შესახებ.

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, 1 დეკემბერს ხელი მოაწერეს ოქმს 1960 წელს სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის საქონელბრუნვის შესახებ.

საქონლის შეთანხმებული სიებით გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ვაჭრობის მოცულობის არსებითი გადიდება 1960 წელს იმ დონესთან შედარებით, რომელიც ამ წლისათვის დასახულია გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმებით, აგრეთვე ურთიერთ მისაწოდებელი საქონლის ნომენკლატურის გაფართოება.

ოქმს ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის დავალებით — საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. მორდვინოვმა, საფრანგეთის მთავრობის დავალებით — საფრანგეთის სავაჭრო დელეგაციის მეთაურმა კ. დე მარჟერიმ. (საკდესი).

თავხედური მოთხოვნები

ბერლინი, 2 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში განუწყვეტლივ გამოდიან რევანშისტები და აყენებენ თავხედურ მოთხოვნებს ოდერ-ნოისეს საზღვრის გადასინჯვის შესახებ. როგორც ადნის საგენტო იუწყება, რევანშისტული ორგანიზაციის „ზელიგერგემაინდეს“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა რიპარდ რაიცენრმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა მემინგენში, მოითხოვა პოლონეთის დასავლეთ მხარეების დაპყრობა. იგი ამტკიცებდა, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება ვერ უზრუნველყოფს მშვიდობას, თუ ამ ხელშეკრულებამ ცნო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთს შორის ამჟამად არსებული საზღვარი. რ. რაიცენრმა გაილაშქრა საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის განცხადების წინააღმდეგ ოდერ-ნოისეს საზღვრის შესახებ.

ადნის საგენტო აღნიშნავს, რომ რ. რაიცენრი მოითხოვს, რათა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრები „გაღმასახლებულნი მუდამ იყოლიონ „ბრძოლისათვის გამზადებული“ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ.

ყოველი მხრიდან

მონტევიდეო, 1 დეკემბერი. (საკდესი). ურუგვაიში მცხოვრებმა სომხებმა ფართოდ აღნიშნეს სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 39-ე წლისთავი. საორგანიზაციო კომისიამ, რომელიც შეიქმნა ურუგვაის სომხური პროგრესული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, 29 ნოემბერს „მარანის“ კლუბში მოაწყო დიდი საღამო. საღამოზე გამოვიდნენ სხვადასხვა სომხური ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი სამშობლოსათვის სიამაყით ილაპარაკეს საბჭოთა სომხეთის მიღწევებზე 39 წელიწადში. საღამოს დასასრულს გაიმართა სომეხი ახალგაზრდობის მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი.

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა, რომელზეც გრძელდებოდა უშიშროების საბჭოს მესამე არამუდმივი წევრის არჩევნები. როგორც ცნობილია, წინათ მოწყობილი კენჭისყრის 43 ტურის შედეგად ვერც პოლონეთმა, ვერც თურქეთმა ვერ მოაგროვეს ხმების საჭირო $^2/_3$ უმრავლესობა, ამასთან პოლონეთი მუდამ ინარჩუნებდა უპირატესობას. ღღეს მოეწყო კიდევ ექვსი კენჭისყრა. ამჟერადაც პოლონეთის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 42 დელეგაციამ, ხოლო თურქეთისას — 39. გაითვალისწინა რა კენჭისყრის შედეგები, ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება გადადოს არჩევნები შემდეგ პლენარულ სხდომამდე.

◆ **ურუგვაიში იდღესასწაულეს საბჭოთა სომხეთის 39-ე წლისთავი.**

◆ **უშიშროების საბჭოს მესამე არამუდმივი წევრის არჩევნები.**

◆ **გერმანელი გენერლები იკავებენ ინგლისელი გენერლების ადგილს.**

◆ **ბეიგსი ცვლის მაკელროის.**

შემდეგ ასამბლეამ დაამთავრა დღის წესრიგის მთელი რიგი მეორეხარისხოვანი პუნქტების განხილვა, რომლებიც წარმოდგენილი იყო მუშა კომიტეტების მიერ, და მიიღო მათ გამო რეზოლუციები.

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის სამხედრო ძლიერების გადიდება და მისი მზარდი გავლენა ნატოში შეშფოთებას იწვევს ინგლისის სამხედრო წრეებში.

გაზეთმა „იენინგ სტანდარდმა“ მოათავსა სტატია, რომელიც ასახავს ამ შეშფოთებას. სტატიაში აღნიშნულია, რომ ცენტრალურ ევროპაში ნატოს სახმელეთო ჯარების სარდლად გენერალ შპაიდელს დანიშნით გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს უდიდესი სამხედრო პოსტი ნატოში, და გერმანელი გენერლები იკავებენ ინგლისელი გენერლების ადგილს.

გაზეთი აცხადებს, რომ ნატოში გერმანიის ჰეგემონიის დამყარება აძლიერებს ატომური ომის საფრთხეს.

ვაშინგტონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში ჰეგერტიმ დღეს გამოაცხადა, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი დაეთანხმა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ნეილ მაკელროის გადადგომას, რომელიც უკვე დიდიხანია განწირახული იყო. წერილებში, რომლებითაც ერთმანეთს მიმართეს მაკელროიმ და ეიზენჰაუერმა, მაკელროი გადადგომის მიზეზად იმოწმებს „პირადი ხასიათის მოსაზრებებს“. მაკელროიმ განაცხადა, რომ გადადგომის შემდეგ აპირებს განაგრძოს საქმიანობა როგორც საპრს სახარშავ კომპანია „პროკტერ ენდ გამბლის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალ თავდაცვის მინისტრად დაინიშნა ყოფილი ფილადელფიელი ბანკირი ტომას ს. გეიტსი. 1953-დან 1957 წლამდე გეიტსი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრის მოადგილე, ხოლო 1957 წლიდან მომდინარე წლის დაწყებამდე — სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი, რის შემდეგ იგი დაინიშნა მაკელროის პირველ მოადგილედ.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.



მოსკოვის დროით

თბილისის სამგზავრო საღგურში 1959-60 წლის ზამთრისათვის სამგზავრო მაგზარებლების მიმოსვლის განრიგება (1959 წ. 1 ნოემბრიდან)

თბილისიდან გადის						ბოლო სადგურში ჩადის		
						ს.	წ.	
ჩქარი	№ 14	მოსკოვამდე	11	ს. 00	წ.	ყოველდღე	12	24
„	33	ერევნამდე	23	10	„		9	38
„	34	მოსკოვამდე	11	33	„		15	05
სამგზავრო	41	ბაქომდე	22	05	„		14	50
„	44	ქუთაისამდე	12	30	„		19	40
„	46	სოხუმამდე	19	52	კენტ რიცხვებში		6	44
„	50	ფოთამდე	22	38	ყოველდღე		8	15
„	52	ბათუმამდე	21	52	„		7	55
„	54	მახარაძემდე	23	10	„		9	18
„	55	ბაქომდე	18	12	ლუწ რიცხვებში		8	25
„	62	როსტოვამდე	19	23	ყოველდღე		6	34
„	64	სოჭამდე	19	52	ლუწ. რიცხვებში		10	32
„	66	ბორჯომამდე (სექცია)	8	10	ყოველდღე		12	32
„	70	ბორჯომამდე (სექცია)	17	51	„		22	03
„	72	ვალედე	23	28	„		7	30
„	73	ერევნამდე	15	40	„		5	56
„	75	ერევნამდე	17	55	„		7	20
„	77	თელავამდე	7	20	„		12	36
„	79	თელავამდე	14	44	„		20	04
„	81	თელავამდე	23	30	„		5	10
საგარეუბნო	102	სურამამდე (სექცია)	6	30	„		9	59
„	104	გორამდე (სექცია)	14	47	„		16	47
„	106	გორამდე (სექცია)	20	05	„		22	11
„	110	სტალინირამდე	16	40	„		21	11
„	111	გარდაბნამდე (სექცია)	6	32	„		7	47
„	113	გარდაბნამდე (სექცია)	12	20	„		13	34
„	115	გარდაბნამდე (სექცია)	13	11	„		14	24
„	117	გარდაბნამდე (სექცია)	15	00	„		16	13
„	123	გარდაბნამდე (სექცია)	21	24	„		22	47
„	129	აქსტაფამდე (სექცია)	5	30	„		8	05
„	131	აქსტაფამდე (სექცია)	16	39	„		19	18
„	133	სანაინამდე	6	56	„		11	32
„	135	სოლანლუღამდე (სექცია)	4	55	„		5	26

თბილისში მოდის						მობრუნების სადგურიდან გამოდის		
						ს.	წ.	
ჩქარი	№ 13	მოსკოვიდან	20	ს. 45	წ. ყოველდღე	20	05	
„	33	მოსკოვიდან	22	52	„	20	55	
„	34	ერევნიდან	11	10	„	23	07	
სამგზავრო	42	ბაქოდან	14	30	„	21	50	
„	43	ქუთაისიდან	5	34	„	23	35	
„	45	სოხუმიდან	6	43	კენტ რიცხვებ.	20	02	
„	49	ფოთიდან	4	40	ყოველდღე	18	45	
„	51	ბათუმიდან	7	44	„	21	40	
„	53	მახარაძიდან	5	05	„	19	25	
„	56	ბაქოდან	8	25	ლუწ რიცხვებ.	16	00	
„	61	როსტოვიდან	9	50	ყოველდღე	22	21	
„	63	სოჭიდან	6	43	ლუწ რიცხვებ.	16	10	
„	65	ბორჯომიდან (სექცია)	22	32	ყოველდღე	18	23	
„	69	ბორჯომიდან (სექცია)	9	30	„	5	17	
„	71	ვალედან	17	30	„	9	05	
„	74	ერევნიდან	7	33	„	16	35	
„	76	ერევნიდან	9	45	„	19	15	
„	78	თელავიდან	19	45	„	14	30	
„	80	თელავიდან	4	10	„	22	44	
„	82	თელავიდან	12	30	„	7	07	
საგარეუბნო	101	სურამიდან (სექცია)	13	41	„	10	21	
„	103	გორიდან (სექცია)	19	35	„	17	24	
„	105	გორიდან (სექცია)	0	44	„	22	39	
„	109	სტალინირიდან	6	21	„	2	00	
„	112	გარდაბნიდან (სექცია)	9	20	„	8	05	
„	114	გარდაბნიდან (სექცია)	15	52	„	14	33	
„	116	გარდაბნიდან (სექცია)	17	12	„	15	48	
„	118	გარდაბნიდან (სექცია)	17	46	„	16	29	
„	120	გარდაბნიდან (სექცია)	18	57	„	17	35	
„	122	გარდაბნიდან (სექცია)	20	28	„	19	14	
„	124	გარდაბნიდან (სექცია)	0	55	„	23	42	
„	130	აქსტაფიდან (სექცია)	11	26	„	9	02	
„	132	აქსტაფიდან (სექცია)	22	20	„	19	42	
„	134	სანაინიდან	20	42	„	16	04	
„	136	სოლანლუღიდან (სექცია)	6	18	„	5	40	

მატ. № 35 მოდის მოსკოვიდან ბათუმში 14 ს. 40 წ. ყოველდღე
მატ. № 36 გადის ბათუმიდან მოსკოვამდე 18 ს. 30 წ. „
მატ. № 35 მოდის